



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

12 ივნისი 2023 წელი

N 34/3.6

ვგზ.: N 1

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
დანართები	დანართები	32
	საკონტაქტო ინფორმაცია	37

ტერმინები და შემოკლებები

დღგ – დამატებითი ღირებულების გადასახადი.

თბილსერვისი – შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

მუნიციპალიტეტი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მერია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

სს – სააქციო საზოგადოება.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემსყიდველი – შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

სახელმწიფო შესყიდვების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის პროცესებში არსებული სისუსტეების შედეგად, თბილსერვისის დიდი ოდენობით თანხებს ხარჯავს ზოგიერთი ისეთი მომსახურების მისაღებად, რომლის ღირებულების გაანგარიშებაც არ ეფუძნება რეალურ გათვლებს.

სატენდერო დოკუმენტების ხარვეზები

ავტომატური შესყიდვის პროცესში სატენდერო მოთხოვნები ზღუდავდა კონკურენციას, რის გამოც ტენდერი ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით ჩატარდა და მიმწოდებელმა გაიმარჯვა სრული სავარაუდო ღირებულების იდენტური სატენდერო ფასით. შედეგად, შემსყიდველმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

გამარტივებულ შესყიდვებში არსებული ხარვეზები

მუნიციპალურმა შპს-მ 3 შემთხვევაში შესყიდვის პროცედურები წარმართა არასათანადოდ. შედეგად, შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულებები გაიზარდა და შემსყიდველმა დაკარგა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

სატენდერო პირობებით შეზღუდული კონკურენცია

თბილსერვისმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართა იმგვარად, რომ კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, ორ შემთხვევაში დაბალი სატენდერო ფასის მქონე პრეტენდენტებს მიანიჭა დისკვალიფიკაცია. შედეგად, შემსყიდველმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

საბაზრო ფასის უგულებელყოფა

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, თბილსერვისს პრეტენდენტების მიმართ გააჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა. შედეგად, შემსყიდველმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

ინტერესთა კონფლიქტი

დაგეგმვასა და მონიტორინგში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, თბილსერვისმა შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის პირობები. ამასთანავე, ინვენტარიზაცია არ ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, ხოლო შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ხორციელდებოდა არასათანადოდ.

შრომის ანაზღაურება

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ხარვეზები

თბილსერვისში ზოგიერთი დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ადამიანის ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობას. აღნიშნული წარმოქმნის რისკს, რომ აღრიცხვის დოკუმენტში დასაქმებულთა ზეგანაკვეთური საათების მითითებული რაოდენობა არაგონივრულადაა გაზრდილი, მეტი ანაზღაურების გაცემის მიზნით.

ადმინისტრაციული ხარჯები

სატრანსპორტო საშუალებების მართვის ხარვეზები

სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თბილსერვისი იყენებს 869 ერთეულ მსუბუქ და მაღალი გამავლობის სატრანსპორტო

მმართველობითი გადაწყვეტილებები

საშუალებას, რაც არაგონივრულად მაღალია და მათი მოვლა-შენახვისთვის არარაციონალურად იხარჯება კომპანიის ფულადი სახსრები. ამასთანავე, შპს-ს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებაზე.

გამოყენებული სააღრიცხვო მოწყობილობა

მუნიციპალურ შპს-ში გაუმართავია დასუფთავების თანამშრომელთა საველე პირობებში გამოცხადების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა. თბილსერვისმა არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები აღრიცხვის ელექტრონული სისტემის სრულად ფუნქციონირებისათვის.

ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობის ხარვეზები

მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის მართვასა და მოვლა-პატრონობაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, თბილსერვისმა ვერ უზრუნველყო პოლიგონის მოწყობა დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად.

ზიანის ანაზღაურება

თბილსერვისმა ხელშეკრულების მართვის ეტაპზე პროცესები წარმართა იმგვარად, რომ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ვერ მიაღწია შესყიდვით დაგეგმილ მიზანს. აღნიშნულის გამო თბილსერვისს დაეკისრა დამატებითი ხარჯის გადახდა.

დაკისრებული სანქციები

კონტროლის მექანიზმების არასათანადო ფუნქციონირების შედეგად, თბილსერვისმა დაარღვია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შედეგად, მუნიციპალურმა შპს-მ ჯარიმის სახით დამატებით გადაიხადა 163.9 ათასი ლარი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: თბილისერვისმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულმა მოთხოვნებმა არ შეზღუდოს კონკურენცია; სატენდერო კომისიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა; შესყიდვების დაგეგმვისას, ობიექტის სავარაუდო ღირებულება განსაზღვროს გონივრულ გათვლებსა და გაანგარიშებებზე დაყრდნობით.

რეკომენდაცია №2: თბილისერვისმა დააწესოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთა ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ყოველდღიურ ზუსტ აღრიცხვას და ზეგანაკვეთური თანხების ანაზღაურება განახორციელოს მხოლოდ დაზუსტებული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე;

რეკომენდაცია №3: საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია თბილისერვისმა დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემების დანერგვა. ამასთანავე, დამფუძნებელთან კონსულტაციით, თბილისერვისმა შეისწავლოს რამდენად აუცილებელია საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე მოცემული რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საჭიროება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

1. შესავალი

**ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობა**

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებებს.

**აუდიტორის
პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შპს „თბილსერვის ჯგუფის“ აუდიტის საგანთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:¹

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილება „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 17 ივნისის №20.625.770 განკარგულება შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წესდების დამტკიცების შესახებ;
-)/ სხვა სამართლებრივი აქტები.

¹ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- /) აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
 - /) დოკუმენტური შემოწმება;
 - /) ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
 - /) ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ დაფუძნებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, რომელიც ფლობს საწარმოს 100%-იან წილს. წესდებით, თბილსერვისის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მასშტაბით დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურება; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება; სადრენაჟე ქსელებისა და სანიაღვრე კოლექტორების ექსპლოატაცია და მოვლა; საავტომობილო და საფეხმავლო ბილიკებზე ტექნიკური მარილის მოყრა თოვლცვენის დროს; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია; გარე განათების ობიექტების მოვლა-პატრონობა; საავტომობილო გზებზე საგზაო მონიშვნის სამუშაოების შესრულება და სხვ. 2020-2021 წლებში თბილსერვისის საშტატო რიცხოვნობა 4,941-დან 4,993 ერთეულამდე მერყეობდა. თბილსერვისმა 2020-2021 წლებში შემოსავლების სახით მიიღო 221.9 მლნ ლარი, ხოლო ხარჯმა 236.1 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი №1. ინფორმაცია თბილსერვისის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2020-2021 წლებში² (ათასი ლარი)

დასახელება	2020	2021	სულ
შემოსავლები	101,360.8	120,551.7	221,912.5
სუბსიდია	70,768.1	82,409.2	153,177.3
კაპიტალური ტრანსფერი და სარეზერვო ფონდი	3,285.9	3,857.8	7,143.7
სახელშეკრულებო შემოსავლები	24,299.0	32,148.1	56,447.1
არასაოპერაციო შემოსავლები	3 007,8	2 136,6	5 144,4
ხარჯები	110,457.4	125,667.7	236,125.1
შრომის ანაზღაურება	57,412.3	66,200.7	123,613.0
ადმინისტრაციული ხარჯი	24,120.7	36,534.0	60,654.7
მასალების ხარჯი	10,685.2	6,537.9	17,223.1
რემონტის ხარჯი	1,017.0	138.9	1,155.9
სხვადასხვა ხარჯი	7,970.4	7,012.9	14,983.3
არასაოპერაციო ხარჯი	9,251.8	9,243.3	18,495.1
ზარალი	-9,096.6	-5,116.0	

შემოსავლების ძირითადი წყაროა მუნიციპალიტეტიდან გამოყოფილი სუბსიდია, რაც საერთო შემოსავლის 69 %-ია. ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი შრომის ანაზღაურებაა, რაც საერთო ხარჯის 52 %-ია. კომპანიამ ორივე სამეურნეო წელი დაამთავრა ზარალით.

² შემოსავლები და ხარჯები დეტალურად წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით,³ ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის უზრუნველყოფისთვის, შესაბამის განმახორციელებელ კომპანიებს დაევალით არადისკრიმინაციულ და სამართლიან პრინციპებზე დაყრდნობით ხელშეკრულებების გაფორმება, მინიმალური ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

თბილისერვისის მიერ გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებების თანახმად, შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიიღო 90.6 მლნ ლარი.⁴

ქალაქ თბილისში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების მომსახურებისთვის, საანგარიშგებო პერიოდში თბილისერვისმა ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულებები⁵ გაუფორმა სს „თელასს“.⁶ ხელშეკრულებები გულისხმობდა ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული სისტემის მეშვეობით აბონენტების/მომხმარებლების მიერ დასუფთავების ტარიფის დავალიანებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების მომსახურების შესყიდვას. 2020-2021 წლებში თბილისერვისმა ხელშეკრულებების შესაბამისად, დახარჯა 3,038.3 ათასი ლარი.⁷

საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ სს „თელასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები შედგენილია და მომსახურების ღირებულება გაანგარიშებულია⁸ სს „თელასის“ მიერ 2013 წელს.

ცხრილი №2: დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გაანგარიშება.

№	ხარჯის დასახელება	თვის ღირებულება (ლარი)
1	საგადახდო ქვითრის დამზადების ღირებულება	7,111
2	ქვითრების მიწოდება აბონენტებისთვის	33,953
3	ელექტროენერგიის გათიშვა (ჩართვა გადახდის შემდეგ)	40,451
4	გარე სერვისის სამსახური (წყალკანალი და კომპანია) ⁹	28,308
5	კორპორაციული ქსელის მომსახურება ¹⁰	5,373
6	მიუღებელი შემოსავლების და მოგების გაანგარიშება	3,395
სულ		118,591¹¹

³ სემკვის 2010 წლის 13 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილება.

⁴ სს „თელასისგან“ მიღებულია – 88.4 მლნ ლარი, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ – 2.2 მლნ ლარი.

⁵ CMR190202869, CMR200149808.

⁶ ასევე, ხელშეკრულებები გაუფორმდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“: CMR190205311; CMR200154870; CMR210080939; CMR210111329.

⁷ მათ შორის: სს „თელასი“ – 2,832.0 ათასი ლარი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ – 206.3 ათასი ლარი.

⁸ 2021 წლის 1 ივლისამდე, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კალკულაცია არ არის წარმოდგენილი.

⁹ სს „თელასი“ მომსახურებას უწევს აგრეთვე იმ აბონენტებს, რომლებიც არიან მხოლოდ წყლის გადასახადის გადამხდელები და ევალებათ დასუფთავების მოსაკრებლის გადახდას.

¹⁰ პროგრამული ქსელის მონიტორინგზე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება.

¹¹ ღირებულება მოცემულია ზედნადები ხარჯის (14%), მოგების (10%) და დღ-ის (18%) ჩათვლით. მხოლოდ მე-6 პოზიციით მოცემულ მომსახურებაზე არ არის დარიცხული ზედნადები ხარჯი, მოგება, დღე.

შესწავლით გამოვლინდა, რომ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საგადახდო ქვითრის დამზადებისა და აბონენტებისთვის მიწოდების მომსახურების მისაღებად, 2020-2021 წლებში თბილისერვისმა 985.5 ათასი ლარი დახარჯა.¹² მოცემული გაანგარიშება მაღალი რისკის მატარებელია, კერძოდ:

2020 წელს სს „თელასის“ აბონენტების 88%-ს,¹³ ხოლო 2021 წელს აბონენტების 92 %-ს¹⁴ ინფორმაცია გადასახდელი დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ ეგზავნებოდა სატელეფონო შეტყობინებით და სხვა ელექტრონული აპლიკაციების მეშვეობით. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები რამდენიმე წლის განმავლობაში რატომ იხდიდა სრულად ქვითრის დამზადებისა და მიწოდების ღირებულებას.

დასკვნა

სახელშეკრულებო ღირებულებები გაანგარიშებულია არასათანადოდ. დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებული სისუსტეების შედეგად, თბილისერვისი დიდი ოდენობით თანხებს ხარჯავს ზოგიერთი ისეთი მომსახურების მისაღებად, რომლის გაანგარიშება არ ეფუძნება რეალურ გათვლებს და რომლის კალკულაცია არ არის მორგებული შესაბამისი პერიოდის პირობებთან.

2.2 შესყიდვების მართვა

2.2.1 სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზები

კრიტერიუმი: სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს. მოთხოვნები უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას¹⁵. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.¹⁶

ფაქტობრივი გარემოება: თბილისერვისმა 2021 წლის 17 მარტს გამოაცხადა ტენდერი¹⁷ – 1 უნივერსალის, 1 მაღალი გამავლობის, 4 „პიკაპის“, 7 „ჰეიბეკის“ და 23 მცირე ზომის „ჰეიბეკის“ ტიპის, სულ – 36 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის შესყიდვისთვის, სავარაუდო ღირებულებით – 1,934.2 ათასი ლარი. ტენდერი წარმართა კონკურენციის გარეშე, 1 პრეტენდენტის მონაწილეობით და გაიმარჯვა ამხანაგობა „კია-მიცუბიშმა“.

შესყიდვის პროცედურების განხორციელებამდე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტარდება ბაზრის კვლევა. აღნიშნული გულისხმობს, რომ არანაკლებ ორ პოტენციურ მიმწოდებელთან კომუნიკაციით¹⁸ და მათგან საჭირო

¹² სს „თელასის“ მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

¹³ 2020 წელს აბონენტების რაოდენობა მერყეობდა 602.5 ათასიდან 621.3 ათასამდე.

¹⁴ 2021 წელს აბონენტების რაოდენობა მერყეობდა 623.5 ათასიდან 643.0 ათასამდე.

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 18, პუნქტი 1.2.

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2005 წლის 20 აპრილის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁷ NAT210005005.

¹⁸ პირისპირ, ტელეფონით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით.

დოკუმენტაციის¹⁹ გამოთხოვით უნდა განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და პოტენციურ მიმწოდებელთა შესაძლებლობები.²⁰

ტენდერის შესწავლით გამოვლინდა, რომ თბილისერვისმა ჩაატარა ბაზრის კვლევა. ინფორმაცია მანქანების ღირებულებისა და მიწოდების შესახებ წარმოადგინა 3 კომპანიამ,²¹ თუმცა მხოლოდ ერთი კომპანია უზრუნველყოფდა 5 კატეგორიის 36 ავტომანქანის ერთად მიწოდებას.²² მიუხედავად ამისა, შემსყიდველმა ნაცვლად იმისა, რომ მანქანების შესყიდვა დაეყო ლოტებად შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, ტენდერი გამოაცხადა 36 მანქანის გაერთიანებული შესყიდვით. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული 5 კატეგორიის 36 ავტომანქანის ერთად შესყიდვა.²³

ამდენად, სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა მოთხოვნები, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას. აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ თბილისერვისმა ფულადი სახსრები არაეკონომიურად დახარჯა. მოცემულ რისკს ამყარებს შემდეგი გარემოება:

2021 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდულია პიკაპის და ჰეჩბეკის ტიპის მანქანები,²⁴ რომელთა გამოშვების წელი, მარკა და ტექნიკური მახასიათებლები იდენტურია იმისა, რაც შეიძინა თბილისერვისმა. ერთეულის ფასების შედარებით გამოვლინდა, რომ კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით მიწოდებული სატრანსპორტო საშუალებების ერთეულის ღირებულებები გაცილებით დაბალია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხოლოდ 4 „პიკაპისა“ და 7 „ჰეჩბეკის“ ტიპის მანქანის შესყიდვით, თბილისერვისმა არაეკონომიურად დახარჯა 83 ათას ლარზე მეტი.²⁵

დასკვნა

შესყიდვის პროცესში სატენდერო მოთხოვნები ზღუდავდა კონკურენციას, რის გამოც ტენდერი ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით ჩატარდა და მიმწოდებელმა გაიმარჯვა სრული სავარაუდო ღირებულების იდენტური სატენდერო ფასით. შედეგად, შემსყიდველმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.2 გამარტივებულ შესყიდვებში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,²⁶ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობა გამოწვეულია ტენდერისათვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „არ შედგა“ ან „შეწყვეტილია“ მინიჭების მიზეზით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ

¹⁹ წერილობითი შეთავაზება, ინვოისი და სხვა.

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია.

²¹ შპს „ჯი თი მოტორსი“, შპს „თეგეტა მოტორსი“ და შპს „კია საქართველო“.

²² შპს „კია საქართველომ“ წარმოადგინა ინფორმაცია როგორც საკუთარი 32 მანქანის, ასევე შპს „კავკასუს მოტორსის“ ინვოისი 4 პიკაპის მიწოდების შესახებ.

²³ ტენდერის ცალ-ცალკე გამოცხადების შემთხვევაში სხვა მიმწოდებლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. მაგალითად, ტენდერის მიმდინარეობისას ერთ-ერთმა კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ვებგვერდზე სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის მოდულში კომენტარად მიუთითა, რომ მცირე ზომის ჰეჩბეკის ტიპის 23 ავტომანქანის მიწოდება შეეძლო.

²⁴ CON210000288 და CON210000390.

²⁵ „პიკაპი“ - (90,937 – 81,950) X 4 = 35,948; „ჰეჩბეკი“ - (53,144 – 46,336) X 7 = 47,656.

²⁶ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 4.

მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო/საკონკურსო პირობებს შემდეგი პრინციპების დაცვით: ა) დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება აღემატებოდეს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს; ბ) დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი, თვისობრივი ან სხვაგვარი მონაცემები იყოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემებზე უარესი.

ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, სატენდერო კომისია აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს ან იღებს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.²⁷

ფაქტობრივი გარემოება 1: მუნიციპალურმა შპს-მ 2019 წლის 18 ოქტომბერს ტენდერი გამოაცხადა გარე განათების ბოძის და LED სანათების 200 ცალი კომპლექტის შესასყიდად,²⁸ სავარაუდო ღირებულებით 1,439.6 ათასი ლარი.²⁹ ერთი კომპლექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 7.2 ათას ლარს.³⁰ ტენდერში მონაწილეობდა 2 პრეტენდენტი, რომელთა სატენდერო ფასი 1,399.5 ათასი და 1,347.6 ათასი ლარი იყო.³¹ თუმცა ორივე მათგანს მიენიჭა დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ პრეტენდენტებმა ვერ წარმოადგინეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პარამეტრების შესაბამისი საქონელი. შესაბამისად, ტენდერი უარყოფითი შედეგით დამთავრდა 2019 წლის 25 დეკემბერს.

ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულების საფუძველით, 2020 წლის 17 ივნისს თბილისერვისმა 185 კომპლექტი გარე განათების ბოძის³² და LED სანათების³³ შესაძენად, გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულება გაუფორმა ტენდერში დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტს – შპს „მონტაჟ ჯორჯიას“, ღირებულებით 1,436.8 ათასი ლარი.³⁴

საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ თბილისერვისმა შესყიდვის პროცედურები წარმართა არასათანადოდ, კერძოდ:

1) მოცემული საქონლის შესაძენად, შემსყიდველმა პირველი ტენდერი³⁵ გამოაცხადა 2019 წლის 30 ივლისს. ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. ამ ტენდერზეც პრეტენდენტებმა ვერ წარმოადგინეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პარამეტრების შესაბამისი საქონელი. მიუხედავად იმისა, რომ იდენტური მიზეზით ტენდერი ორჯერ დასრულდა უარყოფითი შედეგით, თბილისერვისმა შესყიდვის პროცედურები მესამედ

²⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 32, პუნქტი 5.

²⁸ NAT190020056.

²⁹ ტენდერი გამოცხადებული იყო დღგ-ს გარეშე, სავარაუდო ღირებულებით 1,220.0 ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 1,439.6 ათას ლარს.

³⁰ 7.198 ათასი ლარი.

³¹ ტენდერზე ფასები წარდგენილი იყო დღგ-ს გარეშე, 1,186.0 ათასი ლარი და 1,142.1 ათასი ლარი; დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 1,399.5 ათას ლარს და 1,347.6 ათას ლარს.

³² 12 მეტრი სიმაღლის გარე განათების ბოძი, ორმკლავა.

³³ 157 და 75 ვატისანი.

³⁴ CMR200077688.

³⁵ NAT190015146.

წარმართა იმ პარამეტრების საქონლის შესასყიდად, რომელსაც ვერ სთავაზობდნენ მიმწოდებლები. კერძოდ, 2020 წლის 13 იანვარს ჩაატარა ბაზრის ახალი კვლევა, თუმცა ვერც ერთმა კომპანიამ ვერ შესთავაზა მოთხოვნილი პარამეტრების შესაბამისი საქონელი.³⁶ აღნიშნულის შემდგომ, თბილსერვისმა მიიღო გადაწყვეტილება საქონელი შეეძინა გამარტივებული შესყიდვით, ვინაიდან ვერ ესწრებოდა ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის დასრულებისთვის გარე განათების მოწყობის სამუშაოები;

- J) შპს „მონტაჟ ჯორჯიამ“ შემსყიდველს მიაწოდა იმავე ტექნიკური მახასიათებლების მქონე საქონელი, რომელსაც სთავაზობდა უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვისას თბილსერვისმა ერთი კომპლექტის შესაძენად დახარჯა 7.7 ათასი ლარი, რაც 0.5 ათასი ლარით აღემატებოდა ბოლო უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერის სავარაუდო ღირებულების ერთეულის ფასს.³⁷ შედეგად შემსყიდველმა, გარე განათების ბომბებისა და სანათების შესყიდვაში, 92.5 ათასი ლარით მეტი დახარჯა.

ფაქტობრივი გარემოება 2: 2021 წლის 12 იანვარს თბილსერვისმა გამოაცხადა ტენდერი LED სანათების შესყიდვის თაობაზე, სავარაუდო ღირებულებით 1,220.8 ათასი ლარი.³⁸ ტენდერში მონაწილეობდა 10 პრეტენდენტი,³⁹ რომელთაც მიენიჭათ დისკვალიფიკაცია.⁴⁰ ტენდერის დასრულება გაჭიანურდა პრეტენდენტთა მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში საჩივრების შეტანის გამო. საბოლოოდ ტენდერი შეწყდა 2022 წლის 25 ივლისს. ტენდერის შესწავლით გამოვლინდა, რომ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით არსებითად დაბალი სატენდერო ფასი წარადგინა ოთხმა პრეტენდენტმა.⁴¹ მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ფასი მნიშვნელოვნად შეიცვალა, შემსყიდველმა დროულად არ შეწყვიტა ტენდერი და არ გამოაცხადა ხელახლა.

აღსანიშნავია, რომ შპს VIZULO Solutions LLC ერთ-ერთი დაბალფასიანი პრეტენდენტი იყო ზემოთ მითითებულ ტენდერში. მას დისკვალიფიკაცია მიენიჭა სატენდერო ფასის უცხოურ ვალუტაში – ევროში წარდგენის გამო.⁴² ვინაიდან ტენდერის დასრულება გაჭიანურდა, თბილსერვისმა 2021 წლის 28 ივლისს და 13 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის გზით, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ორი ხელშეკრულება გააფორმა შპს VIZULO Solutions LLC-სთან. ხელშეკრულებები ითვალისწინებდა LED სანათების ნაწილის შესყიდვას, საერთო ღირებულებით – 123.1 ათასი ევრო.⁴³ გამოვლინდა, რომ

³⁶ ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, თბილსერვისმა შეცვალა შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები.

³⁷ აღსანიშნავია, რომ ბოლო ტენდერში (NAT190020056) ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ ერთი კომპლექტის ფასს 1.0 ათასი ლარით აღემატება.

³⁸ NAT210000399.

³⁹ 1. შპს „სმარტ გრუპი“ – 799.4 ათასი ლარი; 2. შპს „ბენდს იმპორტი“ – 924.3 ათასი ლარი; 3. შპს VIZULO Solutions LLC – 940.8 ათასი ლარი; 4. შპს „გამა ტური“ – 944.6 ათასი ლარი; 5. შპს ელ. ენ ჯგუფი“ – 1,095.0 ათასი ლარი; 6. შპს „მონტაჟ ჯორჯიამ“ – 1,106.1 ათასი ლარი; 7. შპს „ელექტრონი“ – 1,135.6 ათასი ლარი; 8. შპს „თბილისი“ – 1,187.0 ათასი ლარი; 9. შპს „მკს“ – 1,200.0 ათასი ლარი; 10. შპს AEC ILLUMINAZIONE SRL – 1,200.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 4 დაბალფასიანი პრეტენდენტიდან 2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სანდოობა რისკის შემცველი იყო.

⁴⁰ ტექნიკური დოკუმენტების ხარვეზების გამო 9 პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა, ხოლო მე-10 პრეტენდენტი არ გამოცხადდა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

⁴¹ 1. შპს „სმარტ გრუპი“ – 799.4 ათასი ლარი; 2. შპს „ბენდს იმპორტი“ – 924.3 ათასი ლარი; 3. შპს VIZULO Solutions LLC – 940.8 ათასი ლარი; 4. შპს „გამა ტური“ – 944.6 ათასი ლარი.

⁴² კომპანიას დისკვალიფიკაცია მიენიჭა კანონმდებლობის შესაბამისად.

⁴³ CMR210091604, CMR210096196.

თბილსერვისმა ტენდერით განსაზღვრული საქონლის ნაწილი⁴⁴ გამარტივებული შესყიდვით შეიძინა უფრო მაღალი ერთეულის ფასით და ჯამში შპს VIZULO Solutions LLC-ს 115.2 ათასი ლარით⁴⁵ მეტი გადაუხადა.

ფაქტობრივი გარემოება 3: 2019 წლის 5 დეკემბერს თბილსერვისმა, ასევე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მოტივით, გამარტივებული შესყიდვის გზით გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჯი თი გრუპთან“, ღირებულებით 3,322.0 ათასი ლარი.⁴⁶ ხელშეკრულება გულისხმობდა ერთი ერთეული ნაგავშემკრები ავტომანქანის და 90 ერთეული მიწისქვეშა ბეტონის ბუნკერის შესყიდვას.⁴⁷ ერთი ერთეული ბუნკერის ღირებულება შეადგენდა 31.7 ათას ლარს.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარების აუცილებლობა განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: მიწისქვეშა კონტეინერების მონტაჟი უნდა განხორციელებულიყო ილია ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის პროცესში, რადგან გზის საფარისა და ტროტუარის დაგების შემდეგ შეუძლებელი გახდებოდა კონტეინერების მონტაჟი. ასევე, 2019 წლის 21 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.⁴⁸

საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ თბილსერვისმა შესყიდვის პროცედურები წარმართა არასათანადოდ, კერძოდ: სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო პირობა, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან მწარმოებელ კომპანიას, საქართველოს ან/და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიწოდებული უნდა ჰქონოდა არანაკლებ 5,000 ერთეული მიწისქვეშა ნაგვის ბეტონის კონტეინერი. აღნიშნულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა ტენდერში მონაწილე ორი პრეტენდენტი, რის გამოც მიენიჭათ დისკვალიფიკაცია. ამასთანავე, სატენდერო მოთხოვნა ერთ-ერთმა კომპანიამ გაასაჩივრა შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში. საბოლოოდ შესყიდვის პროცედურები გაჭიანურდა და უარყოფითი შედეგით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალურმა შპს-მ დანარჩენი მიწისქვეშა ბეტონის ბუნკერების შესყიდვაზე ტენდერი⁴⁹ გამოაცხადა 2020 წლის 10 მარტს, სადაც კონკურენციის პირობებში ერთი ერთეული ბუნკერის ღირებულება 1.2 ათასი ლარით შემცირდა.⁵⁰ აღნიშნულის გათვალისწინებით, 90 ერთეული მიწისქვეშა ბეტონის ბუნკერის ღირებულება გამარტივებული შესყიდვის ფასთან შედარებით 108.0 ათასი ლარით ნაკლებია.

დასკვნა

თბილსერვისმა ვერ/არ გაატარა საკმარისი ღონისძიებები საქონლის გამარტივებული შესყიდვით შეძენის თავიდან ასარიდებლად და შესყიდვის დაგეგმვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ დროულად ვერ უზრუნველყო

⁴⁴ 273 ცალი 155 ვატანი სანათი, 266 ცალი 110 ვატანი სანათი, 79 ცალი 80 ვატანი სანათი.

⁴⁵ სულ 31.5 ათასი ევრო: 7,123.7 ევრო X 3.6842 = 26,245.1 ლარი და 24,389.7 ევრო X 3.6453 = 88,908 ლარი.

⁴⁶ CMR190197415.

⁴⁷ ამწე მანიპულატორით - ღირებულება 469.0 ათასი ლარი, მიწისქვეშა ბუნკერი კონტეინერით (თანმდევი სამონტაჟო მომსახურებით) - ღირებულება 2,853.0 ათასი ლარი.

⁴⁸ NAT190016633.

⁴⁹ NAT200005631.

⁵⁰ შედარდა დაბალფასიანი დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის ფასთან.

საქონლის შესასყიდად ტენდერის გამოცხადება. შედეგად, სატენდერო პროცედურების არასათანადო მართვის გამო, შემსყიდველმა დაკარგა ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.3 სატენდერო პირობებით შეზღუდული კონკურენცია

2.2.3.1 ნაგვის ურნების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,⁵¹ შემსყიდველმა ტენდერის ჩატარების დროს უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა, შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენცია და პრეტენდენტთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომა. შემსყიდველი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, ითხოვს საჭირო ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი. სატენდერო მოთხოვნებმა არ უნდა შეზღუდოს კონკურენცია. ის ხელს უწყობდეს კონკურენტული გარემოს შექმნას.

ფაქტობრივი გარემოება: შემსყიდველმა 2020 წელს გამოაცხადა ტენდერი 50 ცალი მიწისქვეშა ბეტონის ნაგვის ბუნკერის შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარაუდო ღირებულებით 1,585.0 ათასი ლარი.⁵²

სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო პირობა, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან მწარმოებელ კომპანიას, საქართველოს ან/და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიწოდებული უნდა ჰქონოდა არანაკლებ 2,500 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. დაბალი სატენდერო ფასი დააფიქსირა შპს „გორგამი“ – 1,525.0 ათასი ლარი, თუმცა მიენიჭა დისკვალიფიკაცია, რადგან სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პირობა გამოცდილების შესახებ ვერ დააკმაყოფილა. კერძოდ: საწარმომ წარმოადგინა დოკუმენტი, რომ მწარმოებელ კომპანიას 5,595 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერი მიწოდებული ჰქონდა არა ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, არამედ თურქეთის რესპუბლიკაში.

საბოლოოდ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ჯი თი გრუპმა“ სატენდერო ღირებულებით 1,585.0 ათასი ლარი,⁵³ რომელიც 60.0 ათასი ლარით აღემატებოდა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის ფასს.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული გამოცდილების სახით 2,500 ცალი ნაგვის კონტეინერის მიწოდება მხოლოდ საქართველოს ან/და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. შესყიდვის ობიექტი იყო 50 ცალი ნაგვის ბუნკერი, რომლის მიწოდების გამოცდილებაც მწარმოებელ კომპანიებს შეეძლოთ ჰქონოდათ, ასევე, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებშიც.

დასკვნა

თბილისერვისმა შესყიდვის პროცედურები წარმართა იმგვარად, რომ მოთხოვნილი სატენდერო პირობები ზღუდავდა კონკურენციას, რის გამოც დაბალი სატენდერო ფასის მქონე პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია.

⁵¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“, მუხლი 4.

⁵² NAT200005631.

⁵³ ერთი ერთეული მიწისქვეშა ბეტონის ნაგვის ბუნკერის ღირებულება 31.7 ათასი ლარი.

შედეგად თბილისერვისმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.3.2 საგზაო მარკირების საღებავების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁵⁴ სატენდერო კომისია არ ამღებს პრეტენდენტს დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს, ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომლის წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას, ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციაში⁵⁵ არ არის მითითებული, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენა კვალიფიციური ხელმოწერის/შტამპის გარეშე დაზუსტებას არ ექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

ფაქტობრივი გარემოება: შემსყიდველმა 2020 წელს გამოაცხადა ტენდერი საგზაო მარკირების საღებავების შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარაუდო ღირებულებით – 494.4 ათასი ლარი.⁵⁶ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი ფასი – 318.2 ათასი ლარი დააფიქსირა შპს „ჯკს-სისტემს-მა“. სატენდერო კომისიამ მას დაზუსტების გარეშე მიანიჭა დისკვალიფიკაცია, რადგან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო დამოწმებული კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით. საბოლოოდ, შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა მომდევნო პრეტენდენტთან – შპს „გზაჯვარედინთან“, ღირებულებით – 357.9 ათასი ლარი.

დასკვნა

თბილისერვისმა შესყიდვის პროცედურები წარმართა იმგვარად, რომ დაბალი სატენდერო ფასის მქონე პრეტენდენტს დოკუმენტების დაზუსტების გარეშე მიანიჭა დისკვალიფიკაცია. შედეგად, თბილისერვისმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.4 არასაბაზრო ფასით შესყიდული საქონელი

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁵⁷ ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, სატენდერო კომისია აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს ან იღებს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.⁵⁸

⁵⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 27, პუნქტი 3.

⁵⁵ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, დოკუმენტებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და დოკუმენტების კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თაობაზე“.

⁵⁶ NAT200012205.

⁵⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁵⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 32, პუნქტი 5.

ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას დაცული უნდა იყოს შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორობა.⁵⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელს თბილისერვისმა გამოაცხადა ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი,⁶⁰ ავტომატური სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით, სავარაუდო ღირებულებით – 2,875.0 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომელთაგანაც ყველაზე დაბალი ფასი – 2,135.6 ათასი ლარი დააფიქსირა შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“. პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია, რადგან მის მიერ წარდგენილ ფასების ცხრილში შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი კომპანიების იურიდიული დასახელებები სრულად არ ჰქონდა მითითებული.⁶¹

საბოლოოდ, კომისიამ გამარჯვებულად გამოავლინა მომდევნო პრეტენდენტი – შპს „ჯი-თი გრუპი“, სატენდერო ღირებულებით – 2,623.1 ათასი ლარი, რომლის ფასი 487.5 ათასი ლარით მაღალია დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის ფასთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ფასი მნიშვნელოვნად შეიცვალა, შემსყიდველმა არ შეწყვიტა ტენდერი და არ გამოაცხადა ხელახლა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს თბილისერვისმა ჩაატარა მსგავსი ტენდერი⁶², რომელშიც მონაწილეობდა შპს „ჯი-თი გრუპი“. ამ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მისაწოდებელი საქონლის მწარმოებელი კომპანიის იურიდიული დასახელებები სრულად არ იყო მითითებული, თუმცა კომისიამ ის გამარჯვებულად გამოაცხადა. ამდენად, ერთსა და იმავე პირობებში, შემსყიდველმა ერთ პრეტენდენტს მიანიჭა დისკვალიფიკაცია, ხოლო მეორე – გამარჯვებულად გამოავლინა, რაც შესყიდვის მონაწილეებს არათანაბარ პირობებში აყენებს და მიუთითებს მიმწოდებლების მიმართ არაობიექტურ და არაერთგვაროვან მიდგომაზე.

დასკვნა

თბილისერვისმა შესყიდვის პროცედურები წარმართა იმგვარად, რომ შემსყიდველს პრეტენდენტების მიმართ გააჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა. შედეგად, თბილისერვისმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.5 ინტერესთა კონფლიქტის პირობებში განხორციელებული შესყიდვა

კრიტერიუმი: ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას: „საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;“⁶³ ამ საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები. ინტერესთა კონფლიქტში არიან ის ურთიერთდამოკიდებული პირები, რომელთა შორის

⁵⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, „გ“ ქვეპუნქტი.

⁶⁰ MEP210000006.

⁶¹ მწარმოებელი კომპანიების იურიდიული დასახელებები წარმოდგენილი იყო აბრევიატურებით.

⁶² MEP200000003; ნაგავშემკრები სპეც-ტექნიკის დანადგარის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა.

⁶³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 8.

განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე, ან ეკონომიკურ შედეგებზე.⁶⁴ ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი.⁶⁵

მას შემდეგ, რაც საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვის, შერჩევის და შეფასების ეტაპზე განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.⁶⁶

მოქმედი კანონმდებლობით, მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს შენახვისა და გამოყენების ადგილებზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე დგება აქტი, რომელშიც მიეთითება ექსპლუატაციაში ყოფნის დრო და მიზეზი, რის გამოც მარაგები გახდა უვარგისი.⁶⁷

ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წლის 21 აგვისტოს თბილსერვისმა გამოაცხადა ტენდერი სახიფათო ნარჩენების გატანა/განადგურების მომსახურების შესყიდვის შესახებ, სავარაუდო ღირებულებით – 517.2 ათასი ლარი.⁶⁸ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა შპს „სანიტარმა“,⁶⁹ რომელმაც გაიმარჯვა და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 417.9 ათასი ლარი.⁷⁰

ტენდერის პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი სატენდერო კომისიის წევრსა⁷¹ და გამარჯვებულ საწარმოს შორის. კერძოდ, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებზე დაყრდნობით, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი – შპს „სანიტარი“ და სატენდერო კომისიის წევრის ნათესავი ფლობენ შპს „სანიტარი“ +“-სს.⁷² შესაბამისად, პრეტენდენტი და სატენდერო კომისიის წევრი არიან ურთიერთდამოკიდებული მხარეები. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის წევრმა წერილობით არ დაადასტურა, რომ მისი მონაწილეობა შესყიდვის პროცესში გამოიწვევდა ინტერესთა კონფლიქტს.⁷³ აღნიშნულით დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის პირობები.

⁶⁴ განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, როდესაც პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; კონტროლი გულისხმობს ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას.

⁶⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მუხლი 19, პუნქტი 1, 2, 5 და 6.

⁶⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 8.

⁶⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 8.

⁶⁸ NAT200012639.

⁶⁹ ს/კ 204927240.

⁷⁰ მათ შორის: სახიფათო ნათურების ნარჩენების განადგურება - 360.0 ათასი ლარი; საგზაო საღებავების, სატრანსპორტო საშუალებების ზეთებისა და ფილტრების სახიფათო ნარჩენების განადგურება - 57.9 ათასი ლარი.

⁷¹ თბილსერვისის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

⁷² ს/კ 401990333. ამ კომპანიის 60 %-ს ფლობს შპს „სანიტარი“, ხოლო 40%-ს - სატენდერო კომისიის წევრის ნათესავი.

⁷³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 4.

გარდა ამისა, გამოვლინდა ხარვეზები შესყიდვის დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესში. კერძოდ:

- ს) ტენდერზე შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 10 დასახელების, მათ შორის 450,000 ცალი გარე განათების სახიფათო ნარჩენის⁷⁴ გატანა/განადგურება. შესწავლით დგინდება, რომ თბილსერვისი არ აწარმოებდა უვარგისი ნარჩენების აღწერას კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით. უვარგისი ნარჩენების რაოდენობის შესახებ არ არის შედგენილი შესაბამისი აღწერის აქტი. შესაბამისად ვერ დგინდება რეალურად რამდენი ნათურა იყო გასანადგურებელი.
- ს) მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა სულ გაიტანა და გაანადგურა 435,600 ცალი ნათურა, ღირებულებით – 348.5 ათასი ლარი. თბილსერვისის საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით თბილისის გარე განათების ქსელიდან ნათურების სახიფათო ნარჩენების რაოდენობა აღრიცხული იყო 272,513 ერთეული.⁷⁵ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გასანადგურებელი ნარჩენები 2017 წლამდეც არსებობდა, თუმცა ბუღალტრულად არ იყო აღრიცხული.
- ს) შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება არასათანადოდ ტარდებოდა. ინსპექტირების დასკვნებით დადასტურებულია 348.5 ათასი ლარის ღირებულების 435,600 ცალი უვარგისი ნათურის განადგურება. თუმცა, ნარჩენების განადგურების პროცესს უწყვეტად ესწრებოდა თუ არა წარმომადგენელი და ხდებოდა თუ არა გადათვლა, თბილსერვისმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები.

დასკვნა

თბილსერვისმა შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის პირობები. გარდა ამისა, უვარგისი მარაგების ინვენტარიზაცია არ ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. შესყიდვის დაგეგმვასა და მონიტორინგში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, ნარჩენების განადგურების მომსახურების შესყიდვის პროცესი მიმდინარეობდა არასათანადოდ.

რეკომენდაცია №1

თბილსერვისმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულმა მოთხოვნებმა არ შეზღუდოს კონკურენცია; სატენდერო კომისიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა; შესყიდვების დაგეგმვისას, ობიექტის სავარაუდო ღირებულება განსაზღვროს გონივრულ გათვლებსა და გაანგარიშებებზე დაყრდნობით.

⁷⁴ აღნიშნული გულისხმობს გარე განათების ქსელსა და კომპანიის ადმინისტრაციულ შენობებში არსებულ სხვადასხვა დიოდურ და მილის ფორმის ნათურებს, რომლებიც დაზიანებულ ან გადამწვარ მდგომარეობაში განეკუთვნება სახიფათო ნარჩენს (ფლუორესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენი) და ექვემდებარება სპეციალური წესით განადგურებას. 1 ცალი ნათურის განადგურების ფასია 0.8 ლარი.

⁷⁵ მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად განადგურებულ ნათურებსა და საბუღალტრო მონაცემების მიხედვით არსებულ გასანადგურებელი ნათურების ნაშთებს შორის სხვაობა შეადგენს 163,087 ერთეულს, რომლის განადგურებაში გადახდილია 130.4 ათასი ლარი.

2.3 შრომის ანაზღაურება

2.3.1 ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ხარვეზები

კრიტერიუმი: ზეგანაკვეთური სამუშაო არის მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს.⁷⁶ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის ხანგრძლივობა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა ის უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ფიზიკური დატვირთვის რეალურ შესაძლებლობებს.

ფაქტობრივი გარემოება: საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თბილსერვისში დასაქმებულები ზოგ შემთხვევაში ასრულებენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებს. თბილსერვისის აღნიშნულ სამუშაოებს ანაზღაურებდა დირექტორის ბრძანებების შესაბამისად. ბრძანება გამოიცემოდა შესაბამისი სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მითითებული იყო კვირაში დამატებითი სამუშაოების შესრულების ჯამური დრო. 2020-2021 წლებში თბილსერვისის მიერ სულ ანაზღაურებულია 4,362.2 ათასი ლარის ზეგანაკვეთური სამუშაო.

ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი წარმოდგენილი დოკუმენტური მასალების შესწავლით გამოვლინდა რისკის შემცველი გარემოებები. კერძოდ:

2020-2021 წლებში 137 შემთხვევაში ანაზღაურებულია საშუალოდ 5 საათზე მეტი ყოველდღიური ზეგანაკვეთური სამუშაო, ღირებულებით – 198.6 ათასი ლარი. ზოგიერთ დასაქმებულზე კვირაში ზეგანაკვეთური სამუშაოს ხანგრძლივობა შეადგენდა 70-დან 105-მდე საათს, რაც დღიურად 10-დან 15 საათამდე ზეგანაკვეთურ სამუშაო დროს გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნორმირებული სამუშაო დრო დღეში 8 საათია, დასაქმებულის დღიური სამუშაოს ხანგრძლივობა მერყეობდა 18 დან 23 საათამდე, რაც ადამიანის ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე არარეალურია.

დასკვნა

თბილსერვისში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, ზოგიერთი დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ადამიანის ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობას. შესაბამისად, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ დასაქმებულთა ზეგანაკვეთური საათების დოკუმენტურად აღრიცხული რაოდენობა პრაქტიკული თვალსაზრისით არ შეესაბამება რეალობას.

რეკომენდაცია №2

თბილსერვისმა დააწესოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთა ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ყოველდღიურ ზუსტ აღრიცხვას და ზეგანაკვეთური თანხების ანაზღაურება განახორციელოს მხოლოდ დაზუსტებული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე.

⁷⁶ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 27.

2.4. ადმინისტრაციული ხარჯები

2.4.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის აუცილებლობისა და მათი საწვავით გამართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁷⁷

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის გამოყენებით,⁷⁸ ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს თბილისერვისის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სარგებლობდა კომპანიის კუთვნილი 117 ერთეული და დასაქმებულთა კერძო საკუთრებაში არსებული 716 მსუბუქი ავტომანქანით. მიუხედავად ამისა, 2021 წელს თბილისერვისმა შეისყიდა 36 ერთეული⁷⁹ სატრანსპორტო საშუალება, ჯამური ღირებულებით – 1,934.2 ათასი ლარი. მათ შორის, ერთი მსუბუქი ავტომანქანა – KIA K5, რომელიც შესყიდულია 92.6 ათას ლარად, გადაეცა თბილისერვისის დირექტორს. 4 ერთეული MITSUBISHI L200 შესყიდულია ერთეულის ღირებულებით – 80.8 ათასი ლარი, აქედან 3 ერთეული გადაეცა დირექტორის მოადგილეებს, ხოლო ერთი – სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსს. 1 ერთეული მაღალი გამავლობის ჯიპი (KIA SPORTAGE) შესყიდულია 76.2 ათას ლარად, რომელიც გადაეცა საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსს. აღსანიშნავია, რომ მითითებული პირები სამსახურებრივი საჭიროებისთვის სარგებლობდნენ კომპანიის საკუთრებაში არსებული სხვა მანქანებით. კერძოდ, დირექტორზე გადაცემული იყო 2 მანქანა – SUZUKI GRAND VITARA და KIA OPTIMA, დირექტორის მოადგილეებზე – MITSUBISHI L200 და HUNDAI ELANTRA, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსზე – TOYOTA HILUX, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსზე – KIA SOUL.⁸⁰ გარდა ამისა, 5 ერთეული ახალი ავტომანქანა – KIA PICANTO, ჯამური საბალანსო ღირებულებით – 193.1 ათასი ლარი, გადაეცა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

თბილისერვისმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო გამოწვეული 2021 წელს ახალი მანქანების შესყიდვა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელი პირების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოიყენებოდა სხვა მანქანები. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს თბილისერვისში დასაქმებულთა რაოდენობა მაქსიმუმ 4993 ერთეული იყო, აქედან 2924 მეეზოვე-დამგველია, ხოლო დანარჩენი პირები დასაქმებული იყვნენ ადმინისტრაციულ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, ფინანსური უზრუნველყოფისა და მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღების დეპარტამენტში,⁸¹ ქონების მართვის დეპარტამენტში, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების

⁷⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁷⁸ აგაი სისტემა – სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებით ავტორიზებული ავტომობილის ავზზე მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება ავტომობილის იდენტიფიცირება ავტოგასამართ სადგურზე.

⁷⁹ 1 უნივერსალის, 1 მაღალი გამავლობის, 4 „პიკაპის“, 7 „ჰეჩბეკის“ და 23 მცირე ზომის „ჰეჩბეკის“ ტიპის მანქანები.

⁸⁰ აღნიშნული მანქანები გადაეცა თბილისერვისის სხვა მოსამსახურეებს.

⁸¹ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური, საწყობის მართვის სამსახური.

სამსახურში, პროტოკოლის სამსახურში და სხვა.⁸² შესაბამისად, გაურკვეველია, რა საჭიროებითაა გამოწვეული ჯამში 869 ერთეული⁸³ მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენება, დაახლოებით, ყოველი მე-2 დასაქმებულისთვის,⁸⁴ რომელთა უმეტეს ნაწილს საოფისე ფუნქციური დატვირთვა აქვს და მათი საქმიანობა არ უკავშირდება ოფისის გარეთ, სხვადასხვა ლოკაციაზე ვიზიტებს.

2020-2021 წლებში თბილისერვისმა დახარჯა 17,832.2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი.⁸⁵ აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამორიგეო ავტომობილებსა და სპეციალურ ტექნიკაზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის აგაი სისტემისა და საბარათე სისტემის მონაცემები. შედეგად, გამოიკვეთა, გარემოებები, რომლებიც წარმოშობს არავტორიზებულ ავტომანქანებში საწვავის ჩასხმისა და მისი არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს, კერძოდ:

- 1) რიგ შემთხვევებში, სამორიგეო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 2020-2021 წლებში გამოვლინდა 16 სატრანსპორტო საშუალებაზე ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 24 შემთხვევა.⁸⁶ ამ ავტომანქანებში ჯამურად სულ ჩასხმულია 1,527.0 ლიტრი საწვავი; (იხ. დანართი №2)
- 2) ავტოსატრანსპორტო საშუალებებში საწვავი ავზის მოცულობასთან შეუსაბამოდ არაერთგზისაა ჩასხმული, დროის მცირე მონაკვეთში;⁸⁷ (იხ. დანართი №3)
- 3) მუნიციპალური შპს-ის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა თბილისერვისის მიერ სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები. გამოვლინდა, რომ აგაი სისტემის კონკრეტული ავტომანქანისათვის განკუთვნილი პერსონალური ჩიპი მყარად არ იყო დამაგრებული 8 ავტომანქანაზე. შესაბამისად, შესაძლებელია ჩიპის შეუსაბამო გამოყენება სხვა მანქანებზეც.

დასკვნა

თბილისერვისმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები და არგუმენტები იმისა, თუ რა აუცილებელი საჭიროებითაა განპირობებული სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად 869 ერთეული მსუბუქი და მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა. შესაბამისად, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა არაგონივრულად მაღალია და მათი მოვლა-შენახვისთვის არარაციონალურად იხარჯება კომპანიის ფულადი სახსრები. გარდა ამისა, ტრანსპორტის ექსპლოატაციის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივ გამოყენებას. კერძოდ, აგაი სისტემის

⁸² სხვა: სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელის დეპარტამენტი, გარე განათების ტექნიკური დეპარტამენტი, ნარჩენების ლოჯისტიკისა და დასუფთავების დეპარტამენტი, შიდა კონტროლის დეპარტამენტი, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტი.

⁸³ $117 + 716 + 36 = 869$

⁸⁴ მეეზოვეების გამოკლებით.

⁸⁵ მათ შორის: 1,732.7 ათასი ლიტრი ბენზინი და 7,304.6 ათასი ლიტრი დიზელი.

⁸⁶ დათვლილია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც საწვავი ჩასხმულია ავზის მოცულობაზე ხუთი და მეტი ლიტრის ზევით.

⁸⁷ აუდიტის მიმდინარეობისას, თბილისერვისმა განახორციელა რეაგირება და შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ხელფასიდან დაუკავა საწვავის ღირებულება იმ შემთხვევებზე, რომლებიც შეიცავდა საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

არსებული მეთოდით გამოყენება, მათ შორის, ავტომობილის ავზიდან დამაგრებული ჩიპის მოხსნისა და გადაადგილების შესაძლებლობა, ერთჯერადად ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები წარმოშობს არასამსახურებრივი ავტომობილების საწვავით გამართვის რისკებს.

რეკომენდაცია №3

საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია თბილისერვისმა დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემების დანერგვა. ამასთანავე, დამფუძნებელთან კონსულტაციით, თბილისერვისმა შეისწავლოს რამდენად აუცილებელია საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე მოცემული რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საჭიროება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

2.4.2 გამოუყენებელი სააღრიცხვო მოწყობილობა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁸⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს თბილისერვისმა შეისყიდა 130 ერთეული მობილური ტელეფონი (სმარტფონი), ღირებულებით – 81.9 ათასი ლარი.⁸⁹ ტელეფონები დაურიგდა დაგვა-დასუფთავების სამსახურების ბრიგადირებს. ტექნიკა უნდა გამოყენებულიყო სავსე პირობებში მომუშავე თანამშრომლების გამოცხადების აღრიცხვისათვის, კომპანიის ტაბელების აღრიცხვის პროგრამის ინტეგრირებისთვის. კერძოდ:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წამკითხველის (რიდერის) მეშვეობით სმარტფონზე კონტაქტისას უნდა აღრიცხულიყო მეუზოვეების და სპეციალური დამგველების გამოცხადება, მათ სამოქმედო არეალში.

საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ მოცემული მოწყობილობით მეუზოვეებისა და დამგველების გამოცხადება 2023 წლის 12 ივნისის მდგომარეობით არ აღირიცხება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გადაწყვეტილება მიღებულია თბილისერვისსა და ა(ა)იპ „საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფესიულ კავშირს“ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე,⁹⁰ მოცემული ტელეფონების

⁸⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლის 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁸⁹ NAT200014972.

⁹⁰ შეთანხმება გაფორმდა 2021 წლის 23 აგვისტოს.

დასკვნა

მეშვეობით, შიდა კონტროლის სამსახური პროგრამული უზრუნველყოფით ახორციელებს დასუფთავების ბრიგადირების გადაადგილების მონიტორინგს.⁹¹

მუნიციპალურ შპს-ში გაუმართავია დასუფთავების თანამშრომელთა სავსე პირობებში გამოცხადების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა. თბილისერვისმა არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები აღრიცხვის ელექტრონული სისტემის სრულად ფუნქციონირებისათვის.

2.5 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.5.1 ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობა და ფორმა/სტრუქტურა იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ დაცულ იქნეს ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების პრევენციის პირობები და უზრუნველყოფილ იქნეს გამონაჟონის ეფექტური შეგროვება. ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაცვა მიიღწევა გეოლოგიური ბარიერისა და ქვედა საიზოლაციო ფენის ერთობლიობით ოპერირების ფაზაში და გეოლოგიური ბარიერისა და ზედა საიზოლაციო ფენის შეთავსებით დახურვის შემდგომ მოვლის ეტაპზე.

ყველა ნაგავსაყრელზე, სადაც ხდება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსება და აირების გამოყოფა, უნდა დამონტაჟდეს ნაგავსაყრელის აირების შეგროვების სისტემა. ყველა შემთხვევაში ნაგავსაყრელის აირების შეგროვება, დამუშავება და გამოყენება უნდა მოხდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს.⁹²

ფაქტობრივი გარემოება: 2010 წლიდან თბილისერვისის ახორციელებს ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობას. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ ნაგავსაყრელი პოლიგონი არ არის მოწყობილი დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. კერძოდ, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექციის ჯგუფის მიერ 2010 წლიდან გამოვლინდა დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობები და შედგა თბილისერვისის დაჯარიმების 20-ზე მეტი ოქმი.⁹³

ხარვეზების აღმოსაფხვრელად, 2019 წელს გამოიყო 57.4 მლნ ლარი, თუმცა თბილისერვისმა შესყიდვის პროცესი სათანადოდ ვერ წარმართა. აღნიშნულის გამო 2020 წლის 28 მაისს ტენდერი შეწყდა,⁹⁴ ხოლო გარემოს დაბინძურების პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმდინარეობს მოლაპარაკება დონორ ორგანიზაციებთან გრანტის მოზიდვის მიზნით და პრობლემის მოსაგვარებლად 2023-2025 წლებში დაგეგმილი იქნება სხვადასხვა ღონისძიება.⁹⁵

⁹¹ სისტემას ასევე იყენებს გარე განათების დეპარტამენტი თანამშრომლების აღრიცხვისთვის.

⁹² საქართველოს მთავრობის დადგენილება №421, ტექნიკური რეგლამენტი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“, მუხლი 12 და 13.

⁹³ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, გარემოს დაბინძურების გამო, 2018-2021 წლებში თბილისერვისის დაეკისრა ჯამში 26.2 ათასი ლარის გადახდა.

⁹⁴ სატენდერო პროცედურების 7 თვით გაჭიანურებისა და ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო.

⁹⁵ მოლაპარაკება მიმდინარეობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD); თბილისის მუნიციპალიტეტს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს და თბილისერვისის შორის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხრიდან გამოყოფილ იქნება 20 მილიონ ევროზე მეტი და სხვ.

დასკვნა

მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის მართვასა და მოვლა-პატრონობაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, თბილისერვისმა ვერ უზრუნველყო პოლიგონის მოწყობა დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. ამასთანავე, ტენდერის არასათანადოდ მართვის გამო ნაგავსაყრელის მოწყობის სამუშაოები გადაიდო გრძელვადიან პერიოდში.

2.5.2 ზიანის ანაზღაურება

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, თბილისერვისი ამოწმებს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ახორციელებს კონტროლს და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁹⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წელს თბილისერვისმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „თემური 1907“-ს საგზაო მარკირების საღებავების შესყიდვის მიზნით, ღირებულებით – 1,507.8 ათასი ლარი.⁹⁷ ხელშეკრულების თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდებოდა 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით.

პირველი მოთხოვნით,⁹⁸ მიმწოდებელმა თბილისერვისს მიაწოდა 584.2 ათასი ლარის ღირებულების საღებავი. თუმცა შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფმა დაადგინა, რომ მიღებული პროდუქციის ნაწილი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნას. შესაბამისად, მუნიციპალურმა შპს-მ ჩაიბარა მხოლოდ 195.7 ათასი ლარის საქონელი.

შემდეგი მოთხოვნით,⁹⁹ შემსყიდველს მიეწოდა 532.4 ლარის ღირებულების საღებავი, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა.

ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის,¹⁰⁰ 2020 წლის 21 იანვარს შემსყიდველმა ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა. თბილისერვისმა უარი განაცხადა, 920.9 ათასი ლარის საღებავის მიღებაზე იმ მოტივით, რომ ხელშეკრულებით მოთხოვნილი და მიწოდებული პროდუქცია იდენტური არ იყო.¹⁰¹

აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმწოდებელმა იდავა სასამართლოში, სადაც წარადგინა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნის მიხედვით, მიწოდებული და ხელშეკრულებით მოთხოვნილი ორივე პროდუქტი ერთი და იგივე საქონელი

⁹⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლის 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁹⁷ NAT190011344.

⁹⁸ 2019 წლის 26 სექტემბერი.

⁹⁹ 2019 წლის 29 ოქტომბერი.

¹⁰⁰ მიმწოდებელმა არ გაითვალისწინა შემსყიდველის მოთხოვნა, შეეცვალა პროდუქცია და ხელახლა გამოეგზავნა ის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობის მიხედვით.

¹⁰¹ შპს „თემური 1907“-ს უნდა მიეწოდებინა - „თერმოპლასტი აგლომერატი საღებავი თეთრი - SMITSOLUX 2013 AGGLO მოდელის, თუმცა მიწოდებული პროდუქციის მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტებში აღნიშნული იყო მოდელი - SMITSOLUX 2013 TYP II E, რაც არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ასევე, თერმოპლასტისთვის განკუთვნილი შუშა ბურთულაკები ითვალისწინებდა თერმოპლასტის აგლომერატის თეთრ საღებავთან – SMITSOLUX 2013 AGGLO ერთად კომბინაციას და მისი მიღება დასაშვები იყო მხოლოდ SMITSOLUX 2013 AGGLO - სთან ერთობლიობაში.

დასკვნა

იყო და გააჩნდა ერთნაირი/იდენტური შემადგენლობა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა თბილისერვისის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტი და შპს „თემური 1907“-ის სასარგებლოდ დააკისრა ჯამში – 309.9 ათასი ლარის გადახდა.¹⁰² დაკისრებული თანხა 2023 წლის 12 ივნისის მდგომარეობით გადახდილი არ არის. სასამართლოს წინა ინსტანციების გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, თბილისერვისმა სარჩელით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომელსაც 2023 წლის 12 ივნისის მდგომარეობით წარმოებაში საქმე არ მიუღია.

თბილისერვისმა ხელშეკრულების მართვის ეტაპზე პროცესები წარმართა იმგვარად, რომ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ვერ მიაღწია შესყიდვით დაგეგმილ მიზანს. აღნიშნულის გამო თბილისერვისს დაეკისრა 309.9 ათასი ლარის დამატებითი ხარჯის გადახდა.

2.5.3 საგადასახადო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება

კრიტერიუმი: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დღგ-ის დეკლარაცია არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს გადასახადი. საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა, გადამხდელის დაჯარიმებას იწვევს. საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის, პასუხისმგებელ პირს ეკისრება საგადასახადო სანქცია.¹⁰³

ფაქტობრივი გარემოება: თბილისერვისი კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საგადასახადო ანგარიშსწორებას ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე. თბილისერვისი სსიპ – შემოსავლების სამსახურს წარუდგენს საგადასახადო დეკლარაციებს. 2021 წელს დეკლარაციების დაგვიანებით წარდგენის გამო, სსიპ – შემოსავლების სამსახურმა მუნიციპალური შპს დააჯარიმა 133.5 ათასი ლარით. აღნიშნული გარემოება განპირობებული იყო საგადასახადო ორგანოსათვის დღგ-ის ანგარიშფაქტურების დაგვიანებით წარდგენით და ცალკეულ საანგარიშო პერიოდში საშემოსავლო გადასახადის დაგვიანებით გადახდით. შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადაგადაცილების გამო, თბილისერვისს დაეკისრა ჯარიმა, 133.5 ათასი ლარის ოდენობით.

დასკვნა

არასათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგად, თბილისერვისმა დაარღვია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. შედეგად, მუნიციპალურმა შპს-მ დაკისრებული სანქციების სახით გადაიხადა 133.5 ათასი ლარი.

¹⁰² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/5120-21. საქონლის ღირებულება 306.1 ათასი ლარი, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 3.8 ათასი ლარი და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის გადახდილი 0.05 ათასი ლარი.

¹⁰³ საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მუხლები: 168, 274, 272.

2.5.4 ვადაში შეუსრულებელ ვალდებულებაზე დარიცხული ჯარიმები

კრიტერიუმი: შესყიდვის ხელშეკრულებების თანახმად, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარო სანქციები.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის გამო, თბილსერვისის დაეკისრა პირგასამტეხლო, 30.4 ათასი ლარი. კერძოდ:

2020-2021 წლებში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, თბილსერვისმა დაგვიანებით მიაწოდა გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ზოგიერთი მომსახურება, რის გამოც დაეკისრა ჯარიმა – 27.4 ათასი ლარი. გარდა ამისა, 2021 წელს თბილსერვისმა სს „თელასს“ შესრულებული მომსახურება აუნაზღაურა დაგვიანებით. აღნიშნულით თბილსერვისის დაეკისრა 3.0 ათასი ლარის პირგასამტეხლო.

დასკვნა

კონტროლის მექანიზმების არასათანადო ფუნქციონირების შედეგად, თბილსერვისმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შედეგად, მუნიციპალურმა შპს-მ დამატებით გადაიხადა 30.4 ათასი ლარი.

2.6 სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.6.1 აფიდავიტის დარღვევის რისკი

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო წინადადების წარდგენა შესაძლებელია აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ. სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი არის სატენდერო/საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე.¹⁰⁴

აფიდავიტის პირობებზე თანხმობით, ტენდერში მონაწილეობის მსურველი ადასტურებს, რომ სატენდერო წინადადება ან მისი კომპონენტი პრეტენდენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების (მისი შესაბამისი კომპონენტის) გასაჯაროების მომენტამდე. ასევე: მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, კონკურენტებს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება.¹⁰⁵

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წლის 4 აპრილს თბილსერვისმა 26 დასახელების სპეცტანსაცმლის შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით – 3,098.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო შვიდმა კომპანიამ, რომელთა შორის სამმა პრეტენდენტმა დაბალი და ერთმანეთთან მიახლოებული სატენდერო ფასი წარადგინა. კერძოდ: შპს „ბენი“ – 2,698.0 ათასი

¹⁰⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „შ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული, აფიდავიტის ფორმა და პირობები (დანართი №1).

ლარი, შპს „ემ გლობალი“ – 2,699.0 ათასი ლარი, შპს „დოკუტეკს ჯორჯია“ – 2,699.4 ათასი ლარი.

ყველაზე დაბალი სატენდერო ფასის მქონე კომპანიამ – შპს „ბენნმა“, სატენდერო პირობით მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად წარადგინა. მიუხედავად ამისა, შერჩევა-შეფასების ეტაპის დასრულებამდე, მან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები წაშალა, რის გამოც 2021 წლის 18 მაისს მიენიჭა დისკვალიფიკაცია.

2021 წლის 20 მაისს კომისიამ განაგრძო შემდეგი პრეტენდენტის – შპს „ემ გლობალის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტების განხილვა. ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების შემდგომ, კომისიამ პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუშისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის საბოლოო ვადად განუსაზღვრა 2021 წლის 18 ივნისი.

აღსანიშნავია, რომ მითითებული ვადის დასრულებამდე 2 დღით ადრე, 2021 წლის 16 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში შევიდა მესამე პრეტენდენტის – შპს „დოკუტეკს ჯორჯიას“ საჩივარი, რაც მომჩივანმა 2021 წლის 29 ივნისს გააუქმა. შესაბამისად, მოცემულ პერიოდში, კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო პროცედურები შეჩერებული იყო.

სატენდერო პროცედურები განახლდა 2021 წლის 30 ივნისს. ამ თარიღით შპს „ემ გლობალმა“ წარადგინა შესყიდვის ობიექტის ნიმუში და ექსპერტიზის დასკვნები. შედეგად, ის გამარჯვებულად გამოცხადდა და გაუფორმდა ხელშეკრულება.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა წარმოშობს რისკს, რომ სამი პრეტენდენტი მოქმედებდა შეთანხმებულად ერთ-ერთი მათგანის გამარჯვების მიზნით. კერძოდ:

- 1) პირველმა პრეტენდენტმა – შპს „ბენნმა“ გააუქმა წარდგენილი დოკუმენტაცია, რითაც, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო შპს „ემ გლობალს“ ჰქონოდა 26 დასახელების სპეცტანსაცმლის ნიმუშის და ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებელი საჭირო დრო. აღნიშნული რისკის არსებობა დასტურდება იმ გარემოებით, რომ შპს „ბენნის“ დისკვალიფიკაციის დღეს, 18 მაისს, შპს „ემ გლობალმა“ ჩინურ კომპანიას შეუკვეთა სპეცტანსაცმლის ნიმუშები, მაშინ როდესაც კომისია პირველ ეტაპზე აფასებს არა შესყიდვის ობიექტის ნიმუშებს, არამედ ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომლის დაზუსტების შესახებაც შპს „ემ გლობალს“ ეცნობა 2021 წლის 20 მაისს;
- 2) შპს „ემ გლობალი“ ინფორმირებული იყო, რომ 2021 წლის 18 ივნისამდე ვერ ახერხებდა ნიმუშების¹⁰⁶ და ექსპერტიზის დასკვნების წარდგენას. ამ შემთხვევაში მან ისარგებლა მესამე პრეტენდენტის – შპს „დოკუტეკს ჯორჯიას“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომელმაც შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში საჩივარი შეიტანა და შემდეგ გააუქმა. ამ მიზეზით 2021 წლის 16-დან 29 ივნისამდე სატენდერო პროცედურები ხელოვნურად შეჩერდა, რითაც შპს „ემ გლობალისთვის“ გახანგრძლივდა სპეცტანსაცმლის ნიმუშის და ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ვადა.

დასკვნა

სასურველი პრეტენდენტის გამარჯვების მიზნით, ტენდერში მონაწილე სამი კომპანია, სავარაუდოდ, მოქმედებდა ურთიერთშეთანხმებით. კერძოდ,

¹⁰⁶ ჩინური კომპანიის წერილის თანახმად.

საწარმოებმა თავიანთი ქმედებით უზრუნველყვეს ერთ-ერთი პრეტენდენტის ტენდერში გამარჯვება.

2.6.2 მოსამსახურეთა გათავისუფლება

2020-2021 წლებში თბილისერვისმა 4 პირს აუნაზღაურა იძულებით განაცდურთან დაკავშირებული ხარჯები, სულ – 201.9 ათასი ლარის ოდენობით.¹⁰⁷ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ 2015 წელს თბილისერვისში დასაქმებულების მიერ ორგანიზებული იყო გარკვეული პროტესტის გამოხატვისაკენ მიმართული ღონისძიება – გაფიცვა.¹⁰⁸ თბილისერვისის დირექტორმა 3 დასაქმებული გაათავისუფლა იმ მოტივით, რომ ისინი იყვნენ პროტესტის ორგანიზატორები. მე-4 დასაქმებულის განთავისუფლების მიზეზი იყო 2016 წელს შპს-ში ჩატარებული რეორგანიზაცია და შტატების შემცირება.

აღნიშნულმა პირებმა გათავისუფლების შესახებ ბრძანებები გაასაჩივრეს სასამართლოში. სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მოსარჩელების სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. სასამართლომ ბათილად სცნო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებები და თბილისერვისს დაავალა იძულებით განაცდურთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება 4 მოსარჩელე პირისთვის.

დასკვნა

სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, თბილისერვისის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გაათავისუფლეს 4 დასაქმებული პირი და დაარღვიეს მათი კანონმდებლობით გარანტირებული შრომის უფლებები. არასათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგად, თბილისერვისმა 201.9 ათასი ლარი საწარმოს საზიანოდ დახარჯა.

2.7 მასშტაბის შეზღუდვა

2020-2021 წლებში თბილისერვისი ახორციელებდა მერიის მიერ უზუფრუქტით გადაცემული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის¹⁰⁹ მონიტორინგს და საიჯარო გადასახდელის ადმინისტრირებას. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა თბილისერვისზე უზუფრუქტით გადაცემული მუნიციპალური ქონების მდგომარეობა. გამოვლინდა, რომ მუნიციპალური შპს სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა გადმოცემული ფართების მონიტორინგს. კერძოდ:

რკინიგზის სადგურის წინა 1630 კვ.მ. მიწისქვეშა მოედნის ნაწილი - 422.6 კვ.მ ფართი იჯარით გაცემულია ერთ-ერთ კერძო პირზე. აუდიტის ჯგუფმა მონიტორინგის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული ტერიტორია, სადაც მუნიციპალური ქონების გარდა არის კერძო საკუთრებაში არსებული ფართები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წლების განმავლობაში მიწისქვეშა გადასასვლელში კერძო პირებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით დაკავებული აქვთ ფაქტობრივად ყველა ჩასასვლელ-გასასვლელი. თუმცა თბილისერვისის წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა იდენტიფიცირებული რომელია მუნიციპალური ან კერძო პირების საკუთრება, არაუფლებამოსილი პირები სარგებლობენ თუ არა მუნიციპალური

¹⁰⁷ 2020 წელს - 16.0 ათასი ლარი და 2021 წელს - 185.9 ათასი ლარი.

¹⁰⁸ გაფიცვის მიზეზი ეხებოდა შრომის ანაზღაურების საკითხების მოგვარებას.

¹⁰⁹ 39.4 ათასი კვ.მ.


ქონებით. ასევე, არ არის გამოვლენილი და დათვლილი, რა ფართობის მუნიციპალური ქონებაა უკანონოდ დაკავებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე მივიღებდით რწმუნებას თუ რა ფართობის მუნიციპალური ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები და რა მოცულობის შემოსავალს კარგავს თბილისერვისი. მიზანშეწონილია თბილისერვისმა მუნიციპალური ქონების მდებარეობის იდენტიფიცირებისთვის გაატაროს კანონმდებლობით დადგენილი ქმედითი ღონისძიებები და თვითნებურად დაკავებული ფართების შემთხვევები მოაწესრიგოს სამართლებრივად.

აუდიტორები

ხელმოწერა


გიორგი შურღაია
მთავარი აუდიტორი



ლაშა ლაშხია
უფროსი აუდიტორი



ილია ლომაური
უფროსი აუდიტორი



გიგა დალაქიშვილი
აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1

დეტალური ინფორმაცია შპს "თბილისერვის ჯგუფის" შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)

№	დასახელება	2020	2021	სულ	შენიშვნა
	შემოსავლები	101 360,8	120 551,7	221 912,4	
1	დაგვა დასუფთავება	3 000,0	3 855,4	6 855,4	კაპიტალური ტრანსფერი
2	დაგვა დასუფთავება	66 489,6	78 899,7	145 389,4	სუბსიდია
3	სანიაღვრე ქსელი	2 941,5	2 953,8	5 895,3	ხელშეკრულება
4	სამშენებლო ნაგვის გატანა	1 711,1	1 992,2	3 703,3	ხელშეკრულება
5	გარე განათება	18 950,4	27 133,3	46 083,7	ხელშეკრულება
6	იჯარა	551,9	68,8	620,7	ხელშეკრულება
7	ანძის შეკეთება	285,9	2,4	288,3	სარეზერვო ფონდი
8	საგზაო მონიშვნები	1 514,8	1 500,0	3 014,8	სუბსიდია
9	საახალწლო ილუმინაციები	2 763,7	2 009,4	4 773,1	სუბსიდია
10	მშვიდობის ხიდის მოვლა-პატრონობა	144,1		144,1	ხელშეკრულება
11	აუქციონის წესით რეალიზებული ჯარტი, ზეთი		386,7	386,7	სხვადასხვა
12	ფინანსური შემოსავალი ბანკის %	741,7	493,8	1 235,5	სხვადასხვა
13	უსასყიდლოდ მიღებული ძირ. საშუალება	1 669,0	128,2	1 797,2	სხვადასხვა
14	ზიანის ანაზღაურება	43,1	14,3	57,4	სხვადასხვა
15	საპენსიო ფონდიდან დაბრ.თანხა	1,5		1,5	სხვადასხვა
16	დისკ.ჯარიმიდან დაკავებული თანხები	0,2		0,2	სხვადასხვა
17	კურსთაშორის სხვაობა	2,8	11,4	14,2	სხვადასხვა
18	სხვადასხვა	5,1	16,2	21,3	სხვადასხვა
19	პირგასამტეხლო	161,6	699,7	861,3	სხვადასხვა
20	დაბრუნებული ბაჟი		2,1	2,1	სხვადასხვა
21	გარანტიის ანაზღაურება		43,8	43,8	სხვადასხვა
22	ელ.ენერგიის ღირ-ბა		5,6	5,6	სხვადასხვა
23	გადაფასება	382,7	334,8	717,5	სხვადასხვა
	ხარჯები	110 457,3	125 667,7	236 125,0	
1	შრომის ანაზღაურება	57 412,3	66 200,7	123 613,0	შრომის ანაზღაურება

2	ოფისის ხარჯი	367,3	380,1	747,4	ადმინისტრაციული ხარჯი
3	საწვავი	7 402,9	10 428,2	17 831,1	ადმინისტრაციული ხარჯი
4	კომუნალური ხარჯი	9 911,6	16 829,6	26 741,2	ადმინისტრაციული ხარჯი
5	ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი	4 251,7	6 184,1	10 435,8	ადმინისტრაციული ხარჯი
6	საწარმოო ინვენტარი	1 313,8	1 748,9	3 062,7	ადმინისტრაციული ხარჯი
7	მასალების ხარჯი	10 685,2	6 537,9	17 223,1	მასალების ხარჯი
8	რემონტის დანახარჯები	1 017,0	138,9	1 155,9	რემონტის დანახარჯები
9	არაფულადი ფორმით გაცემული (კვება)	338,9	478,6	817,5	ადმინისტრაციული ხარჯი
10	ბანკის მომსახურება	26,6	15,2	41,8	ადმინისტრაციული ხარჯი
11	მივლინების ხარჯი	5,1		5,1	ადმინისტრაციული ხარჯი
12	საიჯარო ქირა	174,3	185,4	359,7	ადმინისტრაციული ხარჯი
13	კომუნიკაციის ხარჯი	211,8	211,9	423,7	ადმინისტრაციული ხარჯი
14	ა/მ დაზღვევა	31,6	33,9	65,5	ადმინისტრაციული ხარჯი
15	აუდიტის მომსახურება	85,1	38,1	123,2	ადმინისტრაციული ხარჯი
16	ქვითრების ბეჭდვა, კოვიდი, სხვადასხვა მომსახურებები	2 312,7	3 068,7	5 381,4	სხვადასხვა ხარჯი
17	საგადასახადო ხარჯი	3 089,9	3 891,1	6 981,0	სხვადასხვა ხარჯი
18	სხვა საერთო ხარჯი (ბაჟი, სატენდერო, საჯარო რეესტრი, საკონსულტაციო მომსახურება)	415,6	53,1	468,7	სხვადასხვა ხარჯი
19	ცვეთა	8 976,6	8 072,2	17 048,8	არასაოპერაციო ხარჯი
20	ხანძრის დანაკლისი	522,3		522,3	სხვადასხვა ხარჯი
21	საექვო ვალების რეზერვი	1 629,9		1 629,9	სხვადასხვა ხარჯი
22	კურსთაშორის სხვაობა	6,2	2,1	8,3	არასაოპერაციო ხარჯი
23	ზიანის ანაზღაურება	3,2	83,2	86,4	არასაოპერაციო ხარჯი
24	გადახდილი ჯარიმა	2,3	12,4	14,7	არასაოპერაციო ხარჯი
25	ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	32,0	366,4	398,4	არასაოპერაციო ხარჯი
26	ძირითადი საშუალებების უსასყიდლო გადაცემა	27,7	334,5	362,2	არასაოპერაციო ხარჯი
27	დიდი ლილოს პროექტის ხარჯები	121,5		121,5	არასაოპერაციო ხარჯი

28	განაცდურის ანაზღაურება	16,0	185,9	201,9	არასაოპერაციო ხარჯი
29	არაეკონომიკური ხარჯები (მკურნალობა, საპენსიო, საწვავის ნაშთები, მომსახურება)	40,7	32,0	72,7	არასაოპერაციო ხარჯი
30	ჯარიმა	25,6	4,8	30,4	არასაოპერაციო ხარჯი
31	მოგების გადასახადი		16,3	16,3	არასაოპერაციო ხარჯი
32	საგადასახადო საურავი		133,5	133,5	არასაოპერაციო ხარჯი
მოგება/ზარალი		- 9 096,6	- 5 116,0		

დანართი №2

2020-2021 წლებში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე ერთჯერადად მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები

ავტომანქანის მესაკუთრე	მანქანის სახელმწიფო ნომერი	ავზის ტევადობა (ლიტრი)	ერთჯერა დად ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	სხვაობა (მეტობით ლიტრის ჩასხმა)	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო
საკუთარი	BB768MM	45	55	10	28.02.2021	13:58:58
		45	50	5	30.12.2020	12:41:22
თბილსერვის ი	CNC642	45	60	15	20.07.2020	09:50:54
საკუთარი	KM451MK	60	75	15	06.01.2020	21:46:08
საკუთარი	NR513RN	45	60	15	01.02.2021	18:17:17
		45	50	5	20.09.2020	16:25:13
		45	60	15	16.09.2020	12:40:18
		45	50	5	08.08.2020	11:48:42
		45	66	21	04.07.2020	00:57:57
		45	60	15	01.06.2020	12:15:40
		60	70	10	02.08.2021	18:11:54
		100	120	20	25.06.2021	07:38:19
საკუთარი	II190JI	60	73	13	30.03.2021	06:36:50
საკუთარი	MW044MM	55	60	5	02.09.2021	14:43:11
საკუთარი	NN144IN	40	50	5	31.12.2021	17:50:08
საკუთარი	SS009SS	80	88	8	17.06.2021	08:27:42
თბილსერვის ი	TG044TG	40	50	10	25.07.2020	01:26:52
თბილსერვის ი	TG056TG	45	50	5	30.05.2020	21:03:41
თბილსერვის ი	TG099TG	60	79	19	21.08.2020	01:22:32
თბილსერვის ი	TG373TG	55	76	21	20.07.2021	15:51:05
საკუთარი	XS565SS	55	65	10	07.06.2021	21:07:39
თბილსერვის ი	TG931TG	40	60	10	23.12.2021	01:10:58
		40	50	5	13.12.2021	11:04:20
		40	50	5	09.12.2021	12:28:15

დანართი №3

2020-2021 წლებში ავტომატურად საწვავის ჩასხმის ჯერადობის მაგალითები

მანქანის სახელწიფო ნომერი	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	სულ (ლიტრი)	ავზის ტევადობა (ლიტრი)
DD31500	12.09.2021	14:51:40	42	74	55
		14:56:49	32		
MW044MM	01.12.2021	14:09:34	51	81	55
		14:14:14	30		
MW044MM	05.03.2021	15:30:55	49	89	55
		15:33:56	40		
MW044MM	02.04.2021	10:31:15	48	84	55
		10:36:11	40		
MW044MM	01.10.2020	09:36:12	20	67	55
		09:39:11	47		
		12:46:12	10		

საკონტაქტო ინფორმაცია**ვებგვერდი და
სოციალური მედია**<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>**ცხელი ხაზი**

(+995 32) 243 81 81

**ელექტრონული
ფოსტა**sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE